# ერი

№ 30
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 7 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Е Р И" Ивановская, д. Чилазе.

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



„რ ა დ ი უ მ ი"
ხუთშაბათიდან კოლოსალური პროგრამა 6 განყოფილებით.
I.
პატე ჟურნალი № 246-ა.

II.
ცხოვრება-მცდარია სიყვარული-წამიერია
4 მოქმ. ძლიერი დრამა „ნორდიკს-მონომიდ" ბეტი ნანსენის მონაწილეობით.

III.
პრენსი ავტომატში,
კომიკური.

АНОНС. надняхъ будет. демонст. Монопольная картина
Ключи Счастья
по ром. В. Вербицкой инсценированному самим автором.



პაემზე დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. პირაპოვზოვი და ზ. გ. ოვზანოვი
ნიშნავს საშობაო იაფ ვაჭრობას
10 დეკემბრიდან 1913 წ.


## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ე რ ი

1914 წელს გამოვა იმავე პროგრამითა და სახით, როგორც გამოდიოდა.

მომავალი წლიდან გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით | . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. | . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ. მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლიურათ 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა:—ქუთაისი, „ერის" რედაქციას. ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფული და სხვ. ივანოვის ქუჩა.


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



## დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში
(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)
18 ნოემბრიდან გაიხსნება

## დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.



ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.
თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## ახლათ გამოშვებული პაპიროზები

„ დ ე ლ ი - ბ ა ბ "

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.


## ქალაქის თეატრი.

შაბათს, 7 დეკემბერს ქალაქის თეატრში თფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი ბ-ნი სარგის კაკაბაძე წაიკითხავს ქართულათ საჯარო ლექციას თემაზე:

### ახალი შეხედულებანი საქართველოს საშუალო საუკუნეების ისტორიის შესახებ.

ლექციის შემოსავალი გადადებულია „ვეფხისტყაოსნის გამოსაცემათ. ბილეთები იყიდება კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე


## სამოდო-მანუფაქტურის მაღაზია

# ზ. ს. ბუცუღოვის

ქუთაისში გიმნაზიის ქუჩა ბულვრის პირდაპირ

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ 9-ან 24-მდი ამა ქრისტეშობისთვისა დანიშნულია

## დიდი საშობაო იაფი ვაჭრობა.

ფ ა ს ე ბ ი უ ვ ა ჭ რ ო თ.



გამოშვებულია!!!

ა ხ ა ლ ი პ ა პ ი რ ო ზ ე ბ ი

## „ს ა მ ა ნ ბ ე ბ ო"

20 ცალი 5 კაპ.

ეს პაპიროზები ჩაწყობილია უბრალო ყუთში რაც შემლებას იძლევა შიგ საუკეთესო ხარისხის თამბაქოს ჩაწყობისას.

### იყიდება ყველგან

რადგანაც ჩვენი ეტიკეტების მიბაძვით ყალბი ეტიკეტების კეთებას ბოლო არ ელება, საჭიროა, ყურადღება მიექცეს ფირმას და დამტკიცებულ საფაბრიკო მარკას, საჭიროა, გაფრთხილდეთ, რომ არ შეიძინოთ მცირე ფასიანი უვარგისი ჩვენი მიბაძვით გაკეთებული პაპიროზები, რომელსაც არაფერი საერთო აქვს ჩვენს პაპიროზებთან არც გემოსა და არც თვისების მხრ თ.

ТД. БОЗАРДЖІАНЦЪ съ С-ми.

ფირმა არსებობს 1858 წლიდან.



**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**აქიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

**აქიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.


## ოდესმე იგრძნობენ..

დარბაისელთ ხუმრობა არ უყვართ, დინჯათ სხედან, დინჯათ ბაასობენ და დინჯათ განაგებენ ქვეყნის ბედს. დარბაისლობის მეტს რას მოსთხოვს მაღალი ხარისხოვან ბიუროკრატს, როგორიცაა სახელმწიფო საბჭოს წევრები. დარბაისლობაც სწორეთ იმით გამოიხატება, რომ საჭირბოროტო საკითხთა გარჩევის დროს განაღოს ბაგე თვისი და ყოველგვარს მნიშვნელოვან კანონპროექტს გზა მშვიდობისა მისცეს. ამგვარ ტრადიციათა მიმდევარი იყო დასაბამიდან მაღალხარისხოვანთა საბჭო, ამგვარი ტრადიციები ასულდგმულებს მას ახლაც... ამ ბრწყინვალეთა ხელში დასამარება მოელის არა ერთსა და ორს საჭირბოროტო საკითხს, რომელთა დასამარება ამა ქვეყნის ძლიერთ კმაყოფილების ღიმილს გვრის, ათასები და ასიათასების თვითარსებობას კი საშინელ საფრთხეს უმზადებს. ასე მოხდა ეს ამ ჟამათ, როდესაც სახელმწიფო საბჭომ უარყო მინისტრთა კაბინეტის მიერ შეტანილი კანონპროექტის, პოლონეთში საქალაქო დებულებათა შესახებ, ის მუხლი, რომელიც პოლონეთის ქალაქების თვითმართველობათ სამშობლო ენაზე მსჯელობა-ბაასის უფლებას ანიჭებდა. გამარჯვებულმა გურკო-სტიშინსკებმა ლაღათ გადიხითხითეს პოლონელთა წმინდათა წმინდაწმინდის შებღალვით, პოლონელ ხალხს კი ბედის სიმწვავისა გამო ღრმა და მწარე კვნესა აღმოხდა; გურკოებს კმაყოფილების ღიმილი აღებექდა სახეზე, როდესაც პოლონელებს ტლანქი ფეხები დააჭირეს სათუთსა და საგრძნობ ადგილზე, პოლონეთის ერი თვით კრაკოვცოვმა ვერ იხსნა სტიშინსკითა შეურაცხყოფისაგან. „დიდებული რუსეთის შემქნელთა" პოლიტიკამ განაპირა ქვეყნებში მცხოვრებ ერთა გადაგვარებისაკენ მიმართულმა, არა ერთხელ და ორჯერ სცადა, როგორც სხვა განაპირა ქვეყნებისა, ისე პოლონეთის მიდამოებიც საკუთარი ენის საცდელ მიდვრებათ გადაექცია; მთელი მათი გონებრივი ავლა-დიდება და სწრაფვა ამ გზით იყო წარმართული და ამ გზით მოგზაურობს იგი აქამდი, მერე რა ნაყოფი გამოიღო მან თუნდა პოლონეთში? გადაგვარებით ჯერ მათ არავინ გადაუგვარებიათ, უკმაყოფილების ალი კი ფრიად გაძლიერეს, „ოფიციალური რუსეთის" მოყვარულთა რიცხვი შემცირდა, მისდამი სიძულვილით გაჟღენთილთა რიცხვმა კი საგრძნობლათ იმატა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ერთი უცხოელი

მწერალი ამბობს:—„არ შეიძლება მეორე ადამიანში ჩაკლა წმინდა რამ, თუ ჯერ თვით შენში არ მოსპე ყოველი ღვთიური“, და იგი კი, ვისაც სილამაზე, სიმშვენიერე, ბუნებრივი სახე დაკარგვია, ვისაც ღვთიური რამ მტრათ გახდომია, მას ვით შეუძლია მოწონება გამოიწვიოს არა გონებითა, გრძნობითა და გემოვნებით ბრმა ადამიანში? როდესაც „რუსიფიკატორთა“ საუკეთესო თანაწევრნი პოლონეთის ხალხის საუნჯეს მესაფლავეთ უხდებიან, განა იმავ დროს იგინი იმასაც არ სპობენ თავის არსებაში, რასაც დიდებითი სახე აქვს? ვინც არა წმინდა სულს, უკმევსა გუნდრუკს, იგი თვით არაა წმინდა და როგორც ასეთს, მას აგდებით ეპყრობიან, მისდამი ზიზღით ივსებიან, მტრობას გრძნობენ და ზნეობით ფაქიზნი მასთან კავშირსა და სოლიდარობას გაურბიან, ერიდებიან. სტიშინსკი არც პირველია და არც უკანასკნელი, მათი რაზმიდან, ვისი სახელიც ლეგიონია, მის ყურადღებას წინაპართა აჩრდილიც ჯერ კიდევ არ მიატოვებს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მემკვიდრენიც გაუჩნდებიან, მხოლოდ რუსეთის დიდების შესაქმნელათ იმ იარაღით ბრძოლა, რითაც იგინი იბრძვიან, მუდამ უნაყოფოთ დარჩება და პირიქით, იგი რუსეთის დიდების შექმნას ხელს შეუშლის და არას უშველის. დიდებულ რუსეთს დიდებული ტოლსტოები შექმნიან თავისი უდიდესი და უდიადესი გრძნობით მოყვასისადმი და არა გურკო-სტიშინსკითა გადამგვარებელი ტენდენციები, რომელთა ღირებულობაც ზიზღია.

სახელმწიფო საბჭოს მიერ უარყოფილი პროექტი ხომ პირველი მაგალითი არაა უცხო ერებისადმი სიძულვილის გამოსახვისა, მაგრამ სხვისი მოძულენი დღემდი არც თვით აღვსილან სხვათა სიყვარულით და ამ დარგის მებრძოლთ ჯილდოც ღირსეული მიუღიათ. სდევნიდენ და სდევნიან არა მხოლოდ პოლონელებს, სდევნიან სხვებსაც, მაგრამ ამ დევნას მდევნელთა იმედი ჯერ არ გაუმართლებია, პირიქით დევნილთა გულში მდევნელთადმი ზიზღის გარდა სხვა გრძნობა აღუძრავთ, რომელსაც თვითარსებობისთვის თავდადებული ბრძოლის წყურვილი ეწოდება. რაც მეტი მტრობა იქნება, მით მეტი იქნება სიფხიზლე და სიფრთხილე, რაც მეტათ აგინებენ სატრფოს, მით უფრო-და-უფრო საყვარელი ხდება იგი და ამას თუ ახლა არა, ოდესმე მაინც იგრძნობენ სტიშინსკი-გურკოები და კომპანია. **იმერი.**

# ახალი ამბავი.

✦ სათათბიროს ფინანსიურ კომისიაში კავკასიაში მამულების შესაფასებლათ და გასამიჯნავათ სამი მილიონი მანეთის გადადების მომხრე ყოფილა თფილისიდან ჩასული ჯუნკოვსკი და ფინანსის მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი. დეპუტატი გეგეჭკორი ამ კანონპროექტის წინააღმდეგ წასულა და დაუმტკიცებია, რომ მისი მიღება გამოიწვევს კავკასიაში ერობის შემოღების გამოურკვეველ დროისათვის გადადებას. კომისიის წევრთა უმრავლესობა გელოვანის მოსაზრების თანახმა გამხდარა და კანონპროექტი მცირე კომისიისათვის გადაუციათ.

✦ „ბატუმსკი დენს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: დეპუტატმა გელოვანმა კოოპერატორთა კრებისაგან ქუთაისის გუბერნიაში შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მასალები მიიღო. დეპ. გელოვანი შობის უქმეთდი სათათბიროში შეიტანს კანონპროექტს, სადაც აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს დამშეულთათვის მილიონი მანეთით დახმარების აღმოჩენას.

✦ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ თავისი დადგენილება დამშეულთა სასარგებლოთ ფულის შეკრების შესახებ უმაღლეს მთავრობას წარუდგინა.

✦ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს, რომ ზუგდიდში მთავრობამ დააპატიმრა აფხაზეთში ცნობილი ყაჩაღი ანჩიბაძე.

✦ „ზაკ. რ“-ში ვკითხულობთ: შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ქართველიშვილი სამსახურიდან გადააყენეს და პასუხისგებაში მისცეს იმ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც მას ჩაუდენია, როცა, ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობას ასრულებდა. აგრეთვე დაითხოვეს სამსახურიდან და სამართალში მისცეს ჩოხატაურის პოლიციის ბოქაული ბ. კალანდია და ხონისა—კუხალეიშვილი.

✦ ხარაგაულის პოლიციის ბოქაული გაგუა დაუნიშნავთ ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწეთ, ბ-ნი კვიტაშვილის ადგილზე, რომელიც რაჭის მაზრის უფროსის თანაშემწეთ გადაუყვანიათ.

✦ სამხედრო სასამართლომ გაარჩია ცინცაძისა (იგივე სამანიშვილის) ბ. კუპრაშვილის, ვ. წივწივაძისა და ი. ბუაძის საქმე. ცინცაძეს 12 წლის კატორღა გადაუწყვიტა სასამართლომ, დანარჩენი სამი კი გაამართლა.

✦ დღეს, საღამოს 8 ნახევარ საათზე ს. კაკაბაძე ქალაქის თეატრში ლექციას წაიკითხავს ამ სათაურით: „ახალი შეხედულებანი საქართველოს საშუალო საუკუნეების ისტორიის შესახებ“.

✦ ხვალ ქალაქის თეატრში სახალხო უნივერსიტეტთან არსებული სცენისმოყვარეთა სექცია იაფფასიან სახალხო წარმოდგენას გამართავს. წარმოდგენილ იქნება „და-ძმა“.

✦ ხვალ თეატრ „რადიუმში“ დ. უზნაძე წაიკითხავს ლექციას: „სოკრატი და მისი დრო“. ლექციას სახალხო უნივერსიტეტი მართავს. იმავე დღეს ია ეკალაძე—ცინცაძე წაიკითხავს ლექციას: „ახალი ქართული ლიტერატურის მიმოხილვა“.

✦ ქალაქის გაფიცული სასანიტარო მუშები 2 დეკემბერს, უკვე, დააკმაყოფილეს; თითოეულ მათგანს თვიურ ჯამაგირზე ორ-ორი მანეთი მოემატა. გარდა ამისა მათ აღუთქვეს უფასო სამკურნალო დახმარება, ავათმყოფობის დროს ორი თვის ჯამაგირისა და სამ თვემდი ადგილის შენახვა.

✦ როგორც გაზეთი „კავკაზი“ იტყობინება ქურთისტანში ქართული სოფელი აღმოჩენილა. კორესპონდენტი მოგვითხრობს: „სოფელი გურჯი—ქართველებითაა დასახლებული, რომელნიც ვინ იცის, რა, შემთხვევის მეოხებით დასახლებულან ქურთისტანში. დედაენა დაუვიწყიათ, ტანისამოსიც ქურთებისა აქვთ, ლაპარაკობენ ქურთულათ, თუმცა თავისი ქართველური შთამომავლობა ახსოვთ“.

# ჩვენი სკოლები.

X.

**კრება პეტერბურგში.**

23 დეკემბერიდან 3 იანვრამდი პეტერბურგში დანიშნულია სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრება, რომელსაც დაესწრებიან სახალხო განათლების წარმომადგენელნიც.

ასეთი კრება პირველია რუსეთში და მას საზოგადო ხასიათის მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კრების განსახილველ საგანს შეიცავს მხოლოდ **სახალხო შკოლა და სახალხო მასწავლებელი.** კრებას დაესწრებიან რუსეთის, ფინლიანდიის, პოლონეთისა და კავკასიის მოწინავე მასწავლებლები. კრება განიხილავს რა მდგომარეობაში იმყოფება საზოგადოთ სახალხო შკოლა, გაეცნობა არარუსთა შკოლების ბედ-იღბალს, გაარჩევს ახალ აზრებს და ცნებებს სწავლა-აღზდის საქმეში შესატანს, მიაქცევს ყურადღებას სახალხო მასწავლებლის ნივთიერ მდგომარეობასა და მოუმზადებლობის მიზეზს, რასაც უმთავრესი გავლენა აქვს სახალხო განათლების სწორ გზაზე დაყენების საქმეზე, გამინჯავს და გაარჩევს, თუ რა სახის შკოლების დაარსებაა საჭირო, რომ განათლებამ უფრო ადვილათ და მტკიცეთ მოიკიდოს ფეხი ხალხში და სხივი ცოდნისა შეიტანოს ბნელი მასის ცხოვრებაში.

რა თქმა უნდა, რომ ჩვენი სახალხო შკოლების მასწავლებელთა წარმომადგენელიც დაესწროს ამ კრებას—საჭიროცაა და სასარგებლოც. სწორეთ საჭიროა დასაბუთებული მოხსენებით ხელში წარუდგეს ჩვენი დელეგატი რუსეთის, პოლონეთისა და ფინლიანდიის მოწინავე მასწავლებლებს და გააგებიოს, რომ ჩვენი სახალხო შკოლა დღეს მკვდარია, რომ იქ სიცოცხლის ნიშან-წყალი არ მოიძებნება, რომ იქ ბავშის სულის ყოველ მხრივი ფაქიზისა და საღი განვითარების ნაცვლათ მას აჩლუნგებენ, ალაყებენ და უხშობენ ყოველსავე კეთილსა და გონიერ მხარეს... საჭიროა შკოლა, ეს წმიდათა-წმიდა, განსპეტაკდეს, გათავისუფლდეს იმ ზედმეტი ვალისაგან, რომელსაც მისგან მოითხოვს პედაგოგის მუნდირში გახვეული ბიუროკრატ-პოლიტიკანები!..

თფილისის ქალაქის შკოლების მასწავლებლებმა უკვე ამოირჩიეს სამი წარმომადგენელი, ქუთაისის მასწავლებლებიც აგზავნიან თავის დელეგატს, შავიქვის მრეწველთა შკოლებმა თავის წარმომადგენლათ მასწავლებელი ივანე გომელაური ამოირჩია. ხოლო ჩვენი სახალხო მასწავლებლები ჯერ-ჯერობით სდუმან. ცხადია, ყველა რაიონის შკოლებიდან წელს გაჭირდება წარმომადგენლების გაგზავნა, მაგრამ პირველი რაიონის მასწავლებლებისთვის ძლიერ ადვილია ერთი კაცის გაგზავნა და ნუთუ არ აღმოჩნდებიან ისეთი მოწინავე მასწავლებლები, რომ ეს საქმე კეთილათ მოაწყონ?

თავის მართლება ვისიმე შიშით აქ მოუხერხებელია: მთავრობას ამისი საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მხოლოდ საჭიროა ცოტა შრომა, კაცის ამორჩევა და გაგზავნა.

ზემოაღნიშნული მნიშვნელობას გარდა პეტერბურგს წარმომადგენლის გაგზავნას სხვა სარგებლობის მოტანაც შეუძლია. იქიდან დაბრუნებისას დელეგატი ვალდებულია თავის ამხანაგებს საერთო კრებაზე სხდომის ანგარიშები წარუდგინოს. **ხოლო ამ ერთად მოგროვებასა და აზრის გაცვლა-გამოცვლას დიდი გავლენა ექნება ჩვენი მასწავლებლების დაქსაქსულ ყოფაზე...**

დარწმუნებული ვართ, ჩვენი მასწავლებლები გამოიჩენენ უბრალო თვითმოქმედების უნარს და არ გამოეთიშებიან ამხანაგებს! **გ. ა—ნი.**

# დღიური.

სახელმწიფოები ოსმალეთს სესხს არ მისცემენ მანამდი, სანამ გერმანიის მისიის საკითხი არ გამოირკვევა.

— კუნძულ კრიტოსზე საბერძნეთის დროშა გამოაფინეს.

— ჯიოკონდას სურათის მომტაცებელი ადვილი ებრაელი აღმოჩნდა.

— ბეილისს საზღვარგარეთ წასვლის მოწმობა მისცეს.

— ხმა გავრცელდა—ილიოდორე პეტერბურგში ერთი არისტოკრატის ოჯახში იმალებაო.

— სოციალისტთა ინტერნაციონალურმა ბიურომ, რომელიც ლონდონში არსებობს, გადასწყვიტა—მიიღოს ზომები რუსეთის სოციალ-დემოკრატთა პარტიაში უთანხმოების მოსასპობათ.

— მესამე სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი ოქტომბრისტთა პარტიიდან გადის.

— დეპუტატ გელოვანს კოოპერატორთა კრებისაგან, რომელიც ამ რამდენსამე ხნის წინათ გაიმართა ქუთაისში, შიმშილობის შესახებ მასალა მისვლია.

— ინგლისის მეფე და პუანკარე საფრანგეთ-ინგლისის დამოკიდებულობის შესახებ ერთმანეთს დეპეშით ესაუბრენ.

# მახინჯებს.

მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ბევრიც რომ დამიწუნონ და უეთიკობა მიკიჟინონ, არ შემიძლია ეს სახელი, ზეგამოჭრილი წოდება მოვაშორო იმათ, ვინც დაამახინჯა დიდი მოძღვრება, დამახინჯებულათ გადმონერგა ჩვენში, დაამახინჯა ხალხის გრძნობა, აცდუნა სხვა ბევრი თვით მცდარმა, დაამახინჯა საქმე, სიტყვა, გული, აზრი... მახინჯებია, მაშ რა?

შეუძლებელია მათთან დინჯი, სამართლიანი კამათი: ეს მახინჯნი იმ წამს დამახინჯებულათ შემოატრიალებენ საგანსა და მით ადასტურებენ თავის სიმახინჯეს...

ყვიროდენ, ხელზე დახვეული ქონდათ, გაიძახოდენ:—აგვიხსენით, როგორ მოხდა, რომ დეპ. გელოვანმა **ქვეყანა გაყიდა? ქვეყნის დამოუკიდებლობა რამდენ ოქროთი გიყიდათ?..**

# ჩვენი ქვეყნიერების წარსულიდან.

(სამეცნიერო წერილი).

I

მთელი ქვეყნიერება წარმოსდგა ერთის დასაწყისისგან. სულიერი არსებანი, მცენარენი და ლითონები შესდგებიან იმ ნაწილებისგან, რომლებსაც იღებენ მიწისა, ჰაერისა და წყლიდან. წყალი და სითბო აუცილებელი საჭიროებაა სიცოცხლისთვის.

მეცნიერთა აზრით, სიცოცხლე პირველათ უნდა გაჩენილიყო წყალში. ელექტრონისა და, როგორც ახლა ფიქრობენ, რადის ზეგავლენით თბილ ზღვის წყალში პირველათ ჩაისახა სიცოცხლე. აქ პირველათ ერთ-უჯრედოვან თონთლო ნივთიერებას მიეცა სიცოცხლის ნიშანი. მაშასადამე, დასაბამი ყველა სულიერი არსებისა იყო ეს უპირველესი და უმცირესი არსება, რომელიც განცალკევდა დანარჩენი ბუნებისგან და მიიღო სულიერი არსების ზოგიერთი თვისება. განუზომელი დროის განმავლობაში ეს პირველი არსება, ბუნების კანონების ძალით თანდათან იცვლიდა სახეს, იძენდა სხვადასხვა ახალ თვისებას. ამგვარათ თანდათან წარმოდსგებოდენ ხოლმე ახალ-ახალი სახოვანი არსებანი.

პირველი სულიერი არსების გაჩენას შემდეგ მეტათ დიდი დრო უნდა გასულიყო, ვიდრე იმდენი სხვადასხვაგვარი სულიერი არსება გაჩნდებოდა, რამდენიც დღეს ქვეყანაზეა. ხოლო რაკი ქვეყნათ ერთჯერვე სიცოცხლე გაჩნდა, იგი არაოდეს აღარ შეწყვეტილა.

ამგვარი აზრი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გამეფდა. წინათ კი მეცნიერნი სულ სხვა აზრისანი იყვნენ: ასე მაგალითად, დიდებული მეცნიერის კიუვიეს მოძღვრებით, რომელიც შემდეგ უარყოფილ იქნა, ჩვენს დედამიწას ვითომ გამოევლოს რამდენიმე ისეთი ცვლილება—„კატასტროფა“, რომლის დროსაც მასზე სრულიად მოსპობილა სიცოცხლე; ხოლო როდესაც ახალი ხანა იწყებოდა, ცხოვრება ხელახლათ ჩნდებოდაო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, როგორც კიუვიე ფიქრობდა, ყოველი ახალი ხანა წინანდელისგან განსაკუთრებული ახალგვარი არსებებითაც გაირჩეოდა. თუმცა ასეთი აზრისა იყო დიდებული მეცნიერი კიუვიე, რომლის შესახებაც მისი თანამედროვენი აღტაცებით იტყოდენ, რომ ამ მეცნიერისთვის მხოლოდ ერთი ძვალიც კი საკმაოა, გაიგოს რომელ ცხოველს ეკუთნის იგიო; მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უარყოფილ იქნა ეს აზრი.

მეცნიერება გადაჭრით ამბობს, რომ სიცოცხლის გაგრძობა და განვითარება ქვეყნათ არაოდეს არ შეწყვეტილა, სულიერ არსებათა გამრავლება და განვითარება მუდმივ წინ მიდიოდა.

მართალია, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა დედამიწამ გამოიარა რამდენიმე აგრეწოდებული „ყინვის ხანა“. ამ სახელით ის დროა წოდებული, როდესაც ჩვენი დედამიწის უმეტესი ნაწილი ყინულით იყო მოცული. ყინულით მოცულ ადგილებში, რასაკვირველია, სიცოცხლე ვერ აღმოცენდებოდა, მაგრამ ამ ადგილებს გარდა ისეთი ადგილებიც იყო, სადაც სიცოცხლისთვის საკმაო სითბო მოიპოებოდა. დედამიწამ სამჯერ გამოიარა „ყინვის ხანა“. გათავდებოდა თუ არა ერთი „ყინვის ხანა“, დედამიწას თანდათან სითბო ემატებოდა, შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, როდესაც ხელახლათ დგებოდა „ყინვის ხანა“, დედამიწაც ცივდებოდა.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „ყინვის ხანა“ ის წარღვნაა, რომლის შესახებაც სხვადასხვა ხალხის გადმოცემა მოგვითხრობს.

„წარღვნით“ გადმოცემას ის უნდოდა აღენიშნა, რომ ჩვენმა დედამიწამ ერთ დროს ისეთი ცვლილება გამოიარა, როცა თუმცა ქვეყანაზე სიცოცხლე არ შეწყვეტილა, მაგრამ მაინც ზოგიერთი მოდგმა ცხოველთა სრულებით გაქრა და მოისპო ამ „ყინვის ხანი“-ს სუსხის გამო.

რომ ეს ასე მოხდა, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ მეცნიერებმა აღმოაჩინეს ზოგიერთი ცხოველის ძვლები მიწაში ჩაფლული, ისეთ ცხოველთა დარჩენილი ნაშთი, რომელნიც ოდესღაც ყოფილან დედამიწაზე და შემდეგ კი სრულებით მოუსპია იმ სტიქიურ მოვლენას, ზემოთ რომ აგიწერეთ.

ასე მაგალითად, აზიაში ოდესღაც ცხოვრობდა ერთგვარი პირუტყვი, ახლანდელი სპილოს მზგავსი, მაგრამ გაცილებით მასზე უფრო დიდი აგებულობისა—მამონტი. ამ პირუტყვს სხეული დაფარული ქონდა გძელი და სქელი ბალნით; იგი შეიარაღებული იყო უშველებელი ეშვებით. რამდენსამე ადგილას, მიწაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს მთელი გაყინული მამონტი, სადაც რამდენსამე ათასი წლის განმავლობაში გაეძლო ისე უცვლელათ, ხორციც შერჩენოდა და არათუ ხორცი, წარმოიდგინეთ, კუჭშიც კი უცვლელათ შერჩენოდა ის მცენარეულობა, რომელიც მას სიკვდილის წინათ ეჭამა. (მამონტის ჩონჩხი, სხვათაშორის, პეტერბურგის მუზეუმშიც არის დაცული).

მეცნიერების აზრით, მამონტს უნდა ეცხოვრა, როდესაც ქვეყნათ „ყინვის ხანა“ იყო.

როგორც გერმანელი მეცნიერის ბელშეს წერილიდან ჩანს, ყოფილან ისეთი ცხოველებიც ქვეყნათ და ისეთ დროს, რომ, შესაძლოა, ადამიანის თვალს არც კი ენახოს იგინი არაოდეს.

ამ მეცნიერის სიტყვით, ეს ცხოველნი ისეთი საშინელი უზარმაზარი ყოფილან, რომ ერთი მათი დანახვა ადამიანს ისეთ შიშის ზარს დასცემდა, რომ გული გაუსკდებოდა, მოკვდებოდა.

ტყუილ-უბრალოთ კი არ არის ხალხში დარჩენილი ზღაპრული ამბები გველეშაპებზე, რომელნიც ერთი მოქნევით ადამიანს ლუკმასავით გადაყლაპავდენ; ან და უზარმაზარ ფრინველებზე, რომელთაც შეეძლოთ ფრთებზე ადამიანი ზეცას აეყვანათ!

სულ დიდიხანი არ არის, რაც მეცნიერებმა აფრიკასა და ამერიკაში აღმოაჩინეს ღრმათ მიწაში დარჩენილი ძვლები ოდესღაც იქ მყოფი ცხოველებისა, ისეთი უზარმაზარი ძვლები, რომ, როდესაც მოაგროვეს ერთად და შეკრეს ამ ძვლების ჩონჩხი, განცვიფრებაში მოვიდენ, როცა წარმოუდგათ ამ ცხოველების გასაოცარი სიდიდე.

ყოფილა, მაგალითად, ერთი ცხოველი—ლიზონაგრის მოდგმისა—რომლის ტანის სიგძეც ორმოც ადლს უდრიდა თითქმის. აფრიკაში გერმანელ მეცნიერთა ექსპედიციამ კიდევ უფრო გასაოცარი სიდიდის ძვლები აღმოაჩინა მიწაში. შეკრული ჩონჩხი ამ აღმოჩენილი ძვლებისა ისეთი უზარმაზარია, რომ ეს ოდესღაც ცოცხალი არსება, მართლა, რომ საარაკო სიდიდის ცხოველი ყოფილა; მარტო კისერი თორმეტი ადლის სიგძისა ქონია. როგორც ჩანს, ეს საარაკო არსება წყლის პირას ცხოვრობდა, იკვებებოდა ზღვის ცხოველებით; როდესაც ზღვაში შევიდოდა საჭმლის საძებნელათ, კისერი იმ სიგძისა ქონდა, რომ კარგა ღრმათ შეეძლო შესვლა წყალში; ტანზე ეკრა საშინელი სქელი, რქასავით მაგარი კანი. მოდი, ნუ იტყვი, რომ ასეთი საშინელი ცხოველი არ მოგვაგონებს იმ გველეშაპს, რომელიც ჩვენთვის ზღაპრებში აუწერიათ გადიას.

მეცნიერებმა ისიც დაამტკიცეს, რომ ყოფილან ოდესღაც განსაცვიფრებელი სიდიდის ფრინველნიც.

„ათას ერთი ღამის“ წიგნებში არის ერთი არაკი, სადაც ნაამბობია მოგზაურის თავგადასავალი:

ერთს ვინმე მოგზაურს, ხომალდის დაღუპვას შემდეგ, ზღვის ტალღები მიაგდებენ სრულებით უცნობ ადგილას. მოგზაური დაიწყებს ამ ადგილის დათვალიერებას, ბევრს საკვირველებას ნახავს, მაგრამ ყველაზე გასაოცებელი კი შემდეგი ნახა: დაინახა რაღაც თეთრი შენობა, გუმბათის მზგავსი, თუმცა ბევრი უტრიალა გარშემო, მაგრამ ვერც კარები და ვერც ფანჯარა ვერ უნახა. სწორეთ ამ დროს უცბათ დაბნელდა მზე, მოისმა საშინელი ხმაურობა: ციდან ჩამოეშვა საშინელი რამ ფრინველი და დააჯდა ამ გუმბათს, რომელიც თურმე მთის კვერცხი ყოფილა. ისეთი უზარმაზარი რამ ფრინველი იყოვო,—ამბობს მთარაკე, რომ თითოეული ფეხი მისი დიდ მუხას მოგაგონებდაო.

დიახ, ეს არაკშია ნათქვამი.

ხოლო ის ძვლები, რომელიც დღეს მიწაში ნახეს ისეთს დიდ ფრინველებს უნდა ეკუთნოდეს, რომ თვით სირაქლემა ნამცეცა ფრინვილათ გამოჩნდება მათთან შედარებით.

იპოვეს ისეთი კვერცხის ნაჭუჭები, ზოგან კი მთელი კვერცხიც კი, რომლის სისქეც ვერცხლის ათ შაურიანის სისქეს უდრის; მთელი კვერცხი კი კარგი დოქის ოდენაა.

ბევრი ცვლილება გამოუვლია და უნა-

და რა გამოვიდა? თურმე გელოვანი ოდესმე ვექილად დადგომია მინგრელსკის! და ეს არის ქვეყნის დამოუკიდებლობის გაყიდვა... აქ ქვეყანა რა აზრითაც აქვთ ნახმარი, ვიცით! სულ დიდი, ხვალამდი მოვუცადოთ და თუ თავისებურათ არ გადაამახინჯონ ეს ცნება, მახინჯებს აღარ ვეტყვი მათ. აბა?!

დ.

## დ. ზუგდიდი.

ზუგდიდის ინტელიგენცია და ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული მკვიდრნი მეტათ აღელვა პატივცემული პედაგოგის ბ. ნიკო ბუკიას უდანაშაულოთ და უსამართლოთ დასჯამ. ამ შუაგულ სწავლის დროს ის დაითხოვეს ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებლის სალვთო სჯულის მასწავლებლობიდან მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ღვდლათ არ არის ნაკურთხი.

აგერ ცხრა წელიწადი გადის, რაც ბ. ბუკია ამ თანამდებობას უმწიკვლოთ ასრულებს და ამ ხნის განმავლობაში მადლობისა და ქების მეტი არაფერი დაუმსახურებია თავისი უფროსებისა და საზოგადოებისაგან. ამ ცხრა წლის განმავლობაში მიზეზი არ მისცემია არავითარი და დღეს კი რა მოხდა იმისთანა, რომ საჭირო შეიქნა მისი ღვდლათ კურთხევა—უნებლიეთ ვეკითხები ჩემს თავს.

მაგრამ საქმე მარტო კურთხევაში როდია. რამდენი მაგალითია იმისა, რომ სამოქალაქო სასწავლებელში სალვთო სჯულის მასწავლებელი ერის კაცია. კანონიც ნებას აძლევს მათ, თუ ერთჯერ მიცემული ქონდათ უფლება, აასრულონ ეს თანამდებობა. მაშ რა მოხდა? საქმე ის არის, რომ აქ ბ. ბუკიას შესახებ, სამწუხაროთ, კერძო ინტერესებმა იჩინა თავი. დეკანოზ შენგელაიას არ აძლევდა მოსვენებას „მილტიადის დაფნის გვირგვინი“ და იმანაც ამას წინათ მოისურვა საზოგადო საქმეებში გარევა, ცდა დიდხანს არ მოუნდა. იმ დროს ზუგდიდლები იმას ცდილობდენ, რომ შავი ზღვის პირით მიმავალი რკინის გზა ზუგდიდით წამოსულიყო და ამისათვის საჭირო შეიქნა ოლდენბურგის პრინცთან საზღვარგარეთ დეპუტაციის გაგზავნა. დეკანოზმა შენგელაიამ იმდენი იმეცადინა, რომ ზოგიერთი მისი მომხრის წყალობით დეპუტაციის ერთ-ერთ წევრათ აირჩიეს, მაგრამ, მისდა საუბედუროთ, საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა ღვდელმთავრისაგან ვერ მიიღო. გონიერება მოითხოვდა, უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ თავმოყვარეობამ ნება არ მისცა და ადგა და მარშრუტი გამოსცვალა და საზღვარგარეთის მაგიერ პეტერბურგს გაემგზავრა. რასაკვირველია, ეს საზოგადოებამ ითაკილა და, როცა შენგელაია პეტერბურგიდან ჩამოვიდა, საყვედური გამოუცხადა. შენგელაიამ თავის მართლება დაიწყო, უფიცა კიდეც საზოგადოებას, რომ ის საზღვარგარეთ გაემგზავრა, მხოლოდ გზაში უმჯობესათ დაინახა პეტერბურგს წასულიყო, ეს კი აშკარა სიცრუე იყო და ბ. ბუკიამ, ვერ მოითმინა და გაზ. „იმერეთში“ მოათავსა წერილი, რომლითაც დეკანოზ შენგელაიას სიცრუე დაუმტკიცა, რაც კარგათ უწყიან „იმერეთის“ მკითხველებმა.

აი, ამით გულმოსულმა დეკანოზმა მიმართა ყოველ ღონისძიებას, რომ ბუკიას ჯავრი ამოეყარა. პირველათ გულმოსულმა შენგელაიამ გამოუგზავნა მას ოფიციალური წერილი, რომელშიც სწერდა: „ვინაიდან არ ვხედავ თქვენს ჩემდამი კეთილ განწყობილებას დღეის რიცხვიდან გრიცხავთ ოჯახობით ჩემი მრევლიდან და ყოველი ღვდელმოქმედებისთვის მიმართეთ მეორე მრევლ ს ღვდელს ჯიქიას“-ო.

ამ წერილზე ბ. ბუკიამ მადლობა შეუთვალა, რამაც უფრო გააბრაზა დეკანოზი და სხვა რომ ვერა გაახერხა უჩივლა ახლათ ჩამოსულ სახალხო შკოლების დირექტორთან. გადმოულაგა მას ტყუილი და მართალი იმის შესახებ, რომ სალვთო სჯულის მასწავლებლის ადგილი უსათუოთ ღვდელს ეკუთნისო, რომ ბუკია, როგორც ერის კაცი, მოწაფეებს რყვნის და აფუჭებსო, დირექტორი დააჯერა და დაათხოვია ბ. ბუკია ისე, რომ არც შეკითხებიან ადგილობრივი შკოლის ინსპექტორს ბ. ნადირაძეს.

საუბედუროთ, ამას სამწუხარო შედეგი მოყვა. სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეებმა რაკი შეიტყვეს, რომ მათი საყვარელი მასწავლებელი ბუკია უდანაშაულოთ დაითხოვეს და მის მაგიერ შენგელია დაუნიშნეს, აშფოთდენ და ღვდელს საყვედური გამოუცხადეს და 19 ნოემბერს სალვთო სჯულის გაკვეთილს თავი დაანებეს და შინისკენ წავიდენ. ამ საქმის გამოსაძიებლათ ჩამოვიდა სახალხო შკოლების ინსპექტორი სმირნოვი. რომელმაც ყოველივე გამოიძია და უკვე გაემგზავრა უკან, რომ შედეგი გამოძიებისა დირექტორისთვის მოეხსენებია. ახლა ზუგდიდში თვით დირექტორს მოელიან.

ყოველივე ზემოხსენებული ზუგდიდლებისთვის ძლიერ საწყენი შეიქნა და აუხსნელია, როგორ მოახერხა დეკ. შენგელაიამ, რომ ბუკია დაითხოვეს და ის დანიშნეს...

შენგელიას მხოლოდ სემინარიის ოთხი კლასი აქვს დასრულებული და სალვთისმეტყველო სწავლა არც კი მიუღია, რაც ახალი კანონის ძალით აუცილებელი საჭიროა უმაღლესი პირველდაწყებითი შკოლების სალვთო სჯულის მასწავლებელთათვის. ასე რო მომავალ წელს, როდესაც გადაკეთდება ჩვენი სამოქალაქო შკოლაც უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლათ, დეკანოზ შენგელიას, როგორც სემინარიის კურს დაუსრულებელს კანონის ძალით თავისთავათ აეკრძალება მასწავლებლობა და ამიტომ ცხადის უცხადესია, რომ მას მხოლოდ პირადი ინტერესი და ჟინის ამოყრა აიძულებდა ეზრუნა ამ მისთვის დროებითი ადგილისათვის.

სამწუხაროა ამასთან აგრეთვე ისიც, რომ ბ. ბუკია, როგორც ქართული ენის მასწავლებელი, იძულებული გახდება თავი დაანებოს ამ საგანსაც, რადგან მარტო ქართული ენის სწავლისთვის გადადებული სასყიდელი ვერ აცხოვრებს მას. ქართული ენა ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელში ბუკიას მეცადინობით შემოიღეს და თითქმის მუქთად ასწავლიდა შეგირდებს ამ საგანს. მის მაგიერი ქართული ენის მასწავლებელი ჯერ-ჯერობით აქ არავინ არის. მაგრამ დეკან. შენგელაია და მისი ერთგულნი ამას რას დასდევენ, მხოლოდ კი მათი პირადი ინტერესები და სურვილები დაკმაყოფილებული იქნეს.

ყოველ შემთხვევაში ძლიერ სამწუხაროა, რომ პირადი ინტერესები შკოლაში გადააქვთ, როგორც ეს ჩაიდინა დეკანოზმა შენგელაიამ.

უშიშარი.

## სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება და პოლონური პრესა.

სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებამ პოლონური ენის შესახებ პოლონური პრესის გამოძახილი გამოიწვია. ყოველი ორგანო, რომელიც პოლონურსა თუ რუსულ ენაზე გამოდის ამ გადაწყვეტილების გამო მწუხარებას გამოსთქვამს. „ვარშავის კურიერი“ წერილში—„არ გვექნება თვითმართველობა“—სწერს: გაიმარჯვეს იმათ, ვინც რუსეთი 1905 წლამდი მიიყვანა. კიდევ ცხოვრობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც სჯერათ, რომ სახელმწიფოებრივი სიბრძნე მხოლოდ მათ თავშია. თუ სხვის გულშიც სცემს პატრიოტული გრძნობა, ეს არა სჯერათ. პროექტი შემთანხმებელ კომისიას გადაეცემა და, იმედი გვაქვს, ეს კომისია უარყოფს მას. პოლონეთის საზოგადოება ასეთ გადაწყვეტილებას მოელის.

გაზეთი „გონეცი“ ამბობს: საბჭოსა და სათათბიროს პოლონური კოლოს წევრები ირწმუნებოდენ, რომ თუ პოლონური ენის ხმარება უარყვეს, პროექტს არ მივიღებთო. ახლა მათი მოვალეობა, ხსენებული დაპირება ხალხის წინაშე პირნათლათ აასრულონ: რადიკალური ორგანო „კურიერ პორანიც“ ეხება საბჭოს ამ გადაწყვეტილებას. გაზეთში წერილია დაბეჭდილი ამ სათაურით—„გურკომ გაიმარჯვა“ სწერენ: ერთ უსამართლობას შემდეგ, რომელიც ხოლმე ჩინას დროს მოხდა, პოლონეთის წარმომადგენლები საბჭოსა და სათათბიროში იმიტომ დარჩენ, რომ ეს პროექტი გაეტარებიათ. ახლა პოლონეთის წარმომადგენლებს დარჩენიათ მხოლოდ ის, რომ თავის მანდატზე უარი სთქვან. ამით ისინი გააგებინებენ ყველას, რომ მოთმინების ფიალა აივსო. მხარე მოელის პასუხს სახელმწიფო საბჭოს ვოტუმზე პოლონეთის წარმომადგენლებისგან“.

გაზეთი მოუწოდებს საზოგადოებას გაერთიანებას, ვინაიდან ეს გაერთიანება ძალაა და შემდეგ სწერს:—სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება უსამართლოა. პოლონეთის ხალხმა ერთი საერთო პასუხი უნდა მისცეს ამ გადაწყვეტილებას. ეს პასუხი იქნება საშვალება ჩვენი გაერთიანებისა.

რომან დმოვსკის ორგანო აცხადებს: დავმარცხდით არა მარტო ჩვენ, დამარცხდა რუსეთის პოლიტიკური გონიერებაც, ვიმუშავებთ, რომ რუსეთზე მეტი რეალური წარმოდგენა მივიღოთ. ეს ჩვენ სარგებლობას მოგვიტანს. რაკოვიჩის რწმენა, რომ რუსეთმა გააკულტუროსნა პოლონეთი, ხუმრობის მეტს არაფერს წარმოადგენს.

## ნიაღვარმა გაიტაცა.

1.

— რა ეშმაკმა მოკუპრა ასე ცა, ვერაფერს ვხედავ!

— რა კარგი საღამო იყო, მოწმენდილი!..

— ღმერთი სწყალობთ იმ ძაღლებსა... არ გაგვექცენ და...

— ასეთ ბნელში ვაი თუ ჩახმახსაც ველარ მივაგნო?!—წაიჩურჩულა მეოთხემ და თოფს ხელი შეავლო.

ოთხივე ერთად ჩაყუჟულა შარის პირას და უცდიან. დაზუმდენ.

— ოღონდ, ამხანაგებო,—დაიწყო მეორემ—ერთმანეთს არ ვუტიოთ, საერთო საქმეზე ვართ მოსული და ერთადაც უნდა ვიქნეთ. ან ჩვენი გავიტანოთ და ან ყველა დავიხოცოთ.

— მაგაზე ხომ შევფიცეთ ერთმანეთს.

— ჭო და—ფიცი არ გავტეხოთ. ყველა მეგობრები ვართ და ერთმანეთს ჭირში ნუ მივატოვებთ.

ისევ სიჩუმე.

— თუთუნი აღარა გაქვს?

— არ მოსწიო, თუ კაცი ხარ: სინათლით შეგვამჩნევენ...

— ჩუ! ფეხის ხმაა...

ყურები სცქვიტეს.

ხმა მოახლოვდა; ცხენების თქარა-თქური აშკარათ მოისმის.

თოფები მოიმარჯვეს.

2.

— დაჰ-კა, დაჰ-კა... დაჰ-კა, დაჰ-კა, დაჰ-კა!—იძახის თოფი...

—გრრრ—გრრრ!—ბანს აძლევს ჩაშავებული ცა.

ტყეში სიბნელეს დაუსვენებია. არაფერი მოჩანს. თოფის ხმა დაძრწის, იმუქრება.

— დაჰ-კა, დაჰ-კა!..

ჩასაფრებულნი ტყვიის ჩადებას ძლივს ასწრებენ.

— მოხვდა რომელიღაცას, კვნესა გავიგონე...—ამბობს და ისევ ტენის, ისევ ისვრის...

— დაჰ-კა, დაჰ-კა...—ისმის ზედიზედ.

— ვაი!—დაიკვნესა ერთმა და ჩაკეცილს თოფი გაუვარდა.

ამხანაგები არ უსმენენ, იბძვიან.

— ვაი!—კვნესის დაჭრილი.

— ტყვია გაქვს კიდევ.

— ძალიან ცოტა!

— აბა, უნდა გავიქცეთ!

— მე...მე...და...ვიჭერ... არ წა...ხვიდეთ...—იხვეწება დაჭრილი.

არავინ უსმენს, თოფის სროლით გარბიან.

— ფიცი?..ფიცი?..—კითხულობს მილეული ხმა, მაგრამ იგი ქუხილში იკარგება, ერთ ნაბიჯზე ქრება.

3.

მარტო დარჩა; მიატოვეს ჯოჯოხეთურ ღამეში.

ცა ღმუის, ცა ცეცხლს აფრქვევს, გადარეული ცა სტირის, ხმამაღლა ქვითინობს და ღვარათ ჩამოდის ცრემლი.

ტყეს თმა გაუშლია...ტყე კვის... ტყე გიჟია...

თავდაკარგული ქარი დაძრწის, ტყეს ლეწავს, გესლიანათ სისინობს.

— მე მოვკვდები,—ასეთ ღამეში არ გადავრჩები,—ფიქრობს ნახევრათ გონება დაკარგული დაჭრილი. ბურანში გახვეულა. ფიქრები ერევა...

მთლათ დასოვლებულია, სცივა...

სინამდვილეს ველარ სცნობს, სიზმარში გადადის.

იგივე ღამე, მაგრამ უფრო მრისხანე... აშლილი ბუნება ალ-ქაჯებთან ცეკვავს... ნიაღვარი მოდიდება ტყეს, [illegible] ფერი, ნიაღვარი [illegible] ნიაღვარს მისი [illegible].

— ნუ [illegible], ნიაღვარო, ნუ წამიყვან—თვალცრემლიანი ევედრება იგი ურჩ ნიაღვარს,—მე იქ არ მინდა: იქ ღამეა, იქ არაფერი მოჩანს..

— აქაც ღამეა... წამო!

აქ... აქ ხელის ფათურით მაინც ვგრძნობ... აქ ელვა ანათებს.. იქ კი... მეშინია!... ნუ წამიყვან...

ნიაღვარი მაინც არ სცხრება, ქაჩავს.

— ისინი? ამხანაგები... ისინიც წამოვლენ?

— ჯერ არა! იმათ თავს უშველეს... შენ გეგონა გაგიტანდენ? სულელო!..—დასცინის ნიაღვარი.—ისინი ახლა თფილ ლოგინში წევან, შენ ცოლს ეალერსებიან... წამო, წამო! შენი ადგილი სოფლათ აღარაა...

— შენ სტყუი!—მრისხანეთ ამართა მუჭი საბრალომ, მაგრამ ძირსვე დაუშვა და ატირდა.—ნიაღვარო, რატო მტანჯავ!.. მე ცოლი მიყვარს, იმასთან დარჩენა მინდა... მე მზის ნახვა მწყურია... მზე აღარ ვნახო?!..

— არ შეიძლება!

— აბა, ისინიც წამოიყვანე ისინიც... მარტო მეშინია... ისინიც!..

— სულელო!—ჩაიცინა ნიაღვარმა და თვალცრემლიანი ადამიანი გაიტაცა...

4.

დაწყნარებულმა ცამ სახე გადაიწმინდა და ღამის დედოფალმა მძინარ სოფელს გადმოლიმა, თვალი გადაავლო.

შარის პირს დამხობილი ადამიანი... მიწას ჩაბღაუჭებია, კოცნის, მოცილების ეშინია.

ალ. ცირეკიძე.

14 ნოემბერი, პეტერბურგი.

## თეატრი და ხელოვნება.



მიხეილ მარჯანიშვილი.

ბევრს შეიძლება არც კი მოეხსენება, თუ რა მძიმე და აუტანელ პირობებში უხდება მუშაობა „სუფლიორს“. მაგრამ საკმარისია ერთჯერ მაინც თავი ამოყოთ „სუფლიორის ბუტკაში“, რომ გაითვალისწინოთ ის ჯოჯოხეთური შრომა, რომელსაც ეს დაუფასებელი მუშაკნი სრულებით უჩინრათ ეწევიან და ამისათვის საზოგადოებისაგან არ მოელიან, სხვა სცენის მსახურთა მზგავსათ, არც ხოტბა-ქება და არც ვაშასა და ტაშის ცემა. რამდენათ უნდა იყოს ადამიანი გატაცებული საქმის სიყვარულით, რომ, მიუხედავათ ასეთი მძიმე პირობებისა, მას თითქმის უანგაროთ ათეული წლით ემსახუროს. ასეთი ადამიანი გახლავთ მ. მარჯანიშვილი.

1892 წელს ქ. ქუთაისში ბ. კოტე მესხმა შეადგინა მუდმივი დრამატიული დასი და იწყო წარმოდგენების მართვა ქალაქის ბაღში, თეატრათ გადაკეთებულ ხის „პავილიონში“. ამ დასში თავიდანვე სუფლიორათ მიწვეული იყო მ. მარჯანიშვილი. ორ სეზონს შემდეგ ეს თეატრი დაიწვა და კ. მესხიც ქ. თფილისში გადასახლდა. ქუთაისში დარჩენილ მსახიობთაგან, სხვათაშორის, მ. მარჯანიშვილის თაოსნობითაც შესდგა ამხანაგობა, რომელიც ძველ ხარაზოვის თეატრში წარმოდგენებს მართავდა და ხშირათ გასტროლებზე ლ. მესხიშვილსაც იწვევდა. დასი თანდათანობით შეივსო მოთამაშე პირებით მესხიშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ დაარსდა დრამატიული კომიტეტი და ქართული თეატრიც მკვიდრ ნიადაგზე დადგა. მარჯანიშვილი იმ თავიდანვე დაულალავათა და მხნეთ ეწეოდა „სუფლიორის“ უჩინარსა და მძიმე შრომას. ის ზაფხულობითაც თან დაუყვებოდა ხოლმე მსახიობთა დასს პროვინციებში წარმოდგენებზე.

ამნაირათ მარჯანიშვილი ემსახურებოდა ქუთაისის ქართულ სცენას 1909 წლის ნოემბრამდი, ვიდრე სამსახურის გამო ბაქოში გადასახლდებოდა, სადაც პირველ დღიდანვე შეუდგა თავისს საყვარელ საქმეს და დღესაც ბაქოში სრულიად უსასყიდლოთ და უანგაროთ ადგილობრივ დრამატიულ სექციასთან ერთად

ხავს ჩვენს დედამიწას. იქ, სადაც დღეს თვალაუწვდენელი მთებია, ოდესღაც ზღვა ყოფილა, ის, რასაც დღეს კუნძულს ვეძახდით, ერთ დროს ხმელეთის ნაწილს შეადგენდა; ყოფილან ცხოველნიც, ძლიერნი და უზარმაზარნი, რომ სრულებით აღგვილან დედამიწის ზურგიდან, ხოლო ადამიანი კი, ეს ნაზი და ბუნების მშვენიერი ქმნილება მუდმივ უდრეკი და უძლეველი დარჩენილა; მას ვერა რამ დააკლო რა და იყო ყოველთვის ძლევამოსილი. ადამიანიც ერთი უძველეს არსებათაგანია დედამიწაზე. 1774 წ. მეცნიერმა ესპერმა ერთ გამოქვაბულში იპოვა ადამიანის ძვლები იმ პირუტყვების ძვლებთან ერთად, რომელნიც დედამიწაზე „ყინვის ხანის“ დროს ცხოვრობდენ; ამ პირუტყვთა ძვლების შორის იყო მამონტის ძვლებიც. აქიდან ესპერმა ის დასკვნა გამოიყვანა, რომ რადგან ადამიანის ძვლები იმ პირუტყვების ძვლებთან ერთადაა დამარხული, რომელნიც „ყინვის ხანის“ დროს ცხოვრობდენ და შემდეგ კი გაქრენ, აშკარაა, ადამიანს მაშინაც უცხოვრია ქვეყნათ, როდესაც ჯერ კიდევ „ყინვის ხანა“ იყო. მართლაც, გამოირკვა თანდათან, რომ ადამიანი თანამედროვე ყოფილა მამონტისა და სხვა იმ დროის პირუტყვებისა.

უკვე მაშინაც კი, „ყინვის ხანის“ დროს ადამიანი იმდენათ სრული ყოფილა ფიზიკურათ, რომ იგი ლამაზ და განვითარებულ ტიპს წარმოადგენდა. დიდებულმა ჰექსლიმ გაშინჯა „ყინვის ხანის“ ადამიანის თავის ქალა და წარმოსთქვა, რომ ამგვარათ მოყვანილი თავის ქალას თვით ფილოსოფოსიც არ იუკადრისებსო.

აქვე არ შემიძლია არ შევეხო ერთს ფრიად საინტერესო საკითხს: იყო თუ არა, და თუ იყო, რამდენათ დიდი განსხვავებაა ახლანდელისა და უძველესი ადამიანის ტანის სიმაღლეში, რა სიგძისა და სისქის ქონდა ძვლები ჩვენს უძველეს წინაპარს?

ამ კითხვაზე მეცნიერება გადაჭრილ პასუხს იძლევა. ის ძვლებიც, რომელიც სხვადასხვა გამოქვაბულში აღმოაჩინეს ეკუთნის უძველეს ადამიანს, მაშასადამე, ისეთი ღრმა წარსულის დროისაა, რომ თამამათ შეგვიძლია ამ ძვლების სიგძეთი და სიმსხოთი ვიხელმძღვანელოთ, როდესაც ვმსჯელობთ წარსული ადამიანის სამაღლეზე და მის მოსულობაზე. თუ რა უძველესი დროის ძვლებია ნაპოვნი მეცნიერების მიერ, ეს, სხვათა შორის, აი საიდანაც ჩანს კიდევ: ამ ორი-სამი წლის წინათ მეცნიერებმა ერთ გამოქვაბულში აღმოაჩინეს ადამიანის თავის ქალა. ეს ქალა იმითია შესანიშნავი, რომ იგი არ არის ჩვეულებრივი ადამიანის თავის ქალა, იმ ძვლების მოყვანილობით, რომლისაგანაც ეს ქალა შესდგება, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ეკუთნის იმ ცხოველს, რომლისგანაც პირდაპირი და უახლოესი შთამომავლობა აქვს ახლანდელ ადამიანს.

დიახ, ყველა ამ აღმოჩენილი ძვლების შესწავლა დაჭეშმარიტებით გვეუბნება, რო მისსა და ახლანდელი ადამიანის ძვლების სიგძე—სიმსხოში განსაკუთრებული განსხვავება არ არის. მაშასადამე, ის ლეგენდები, ვითომ უწინდელ დროში ადამიანი გაცილებით უფრო მაღალი და ახოვანი ტანისა იყო, უსაფუძვლოა.

სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს ის ისტორიული გადმოცემა, რომელიც დავით აღმაშენებლის განსაცვიფრებელს ფიზიკურ აგებულებას ამბობს, უსათუოთ იგი თანამედროვეთა შორის განსხვავდებოდა და გაირჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი ახოვანი აგებულებით, იგი იყო დაჯილდოებული ბუნებისაგან განსაკუთრებული სულიერი და ფიზიკური ძალით; მაგრამ არც ისეთი იქნებოდა, რომ მას თითზე მორგებოდა ის ბეჭედი, რომელსაც დღეს გელათის მონასტერში აჩვენებენ, როგორც „დავით აღმაშენებლის“ ბეჭედს; და ვერც ამოიტანდა ხელით იმ დიდ ქვას, რომელიც მონასტრის კედელშია ჩადგმული.

მაშასადამე, უძველესი ადამიანი, უძველეს დროშიც, თავისი გარეგნული აგებულობით არაფრით განსხვავდება შედარებით ახლანდელი ადამიანისაგან; ხოლო, რასაკვირველია, იგი უფრო მარდი, ჯანსაღი, ძალ ღონით სავსე იყო, ვიდრე ახლანდელი ფიზიკურათ გადაგვარებული, განათლებული ევროპიელი.

გაჩენისთანავე ქვეყნათ ადამიანი მუდმივსა და განუწყვეტელ არსებობის ბრძოლაში იყო; იგი მუდმივ გარშემორტყმული იყო ისეთი მტრებისაგან, რომლებიც ბევრათ სჯობდენ მას ფიზიკური ძალით; ადამიანს არ ქონდა არც დიდი ძალღონე, არც ბუნებით თანდაყოლილი რამ იარაღი, როგორც მაგალითად, ეშვები, რქები, ბჭყალები და სხვა; მაშასადამე, ადამიანს მეტი ხერხი და ჭკუის გამჭრიახობა უნდა გამოეჩინა, რომ როგორმე გამარჯვებული გამოსულიყო. ამიტომ ადამიანის ტვინს მეტი სავარჯიშო მიეცა, რამაც იმის გონებრივი ძალა დიდათ წინ წასწია.

და აი, ამ განუწყვეტელმა ბრძოლამ არსებობისა და მემკვიდრეობითი გარდასვლამ შთამომავლობაზე, ამ ბრძოლაში შეძენილ ახალ-ახალ თვისებათა თანდათან შექმნეს განუზომელ დროთა განმავლობაში ის ადამიანი, რომელსაც დღეს დაპყრობილი აქვს მთელი ქვეყნიერება და არის მისი ბძანებელი.

აქიმი ბადრიძე.

# სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
## ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი
მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ
აბრეშუმის ჭიის თესლის

# ნ. ხრისტოდულიდის

(...ეს წინათ ...ენ ...რეთის)

ამით აცნობებს პატივცემულ შეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ კრისტ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელ-შიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლეგენტი ქქთამეს მ ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იკრმურკაში.



დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


განაგრძობს ამ კულტურულ სარბიელზე ნაყოფიერ მუშაობას.

ამას გარდა მ. მარჯანიშვილს ქართულად თარგმნილი აქვს ათზე მეტი პიესა.

ბაქოს ამხანაგებმა გადასწყვიტეს 20 წლის სასცენო მოღვაწეობისათვის მ. მარჯანიშვილს 8 დეკემბერს გაუმართოს სადღესასწაულო საღამო, როდესაც, სხვათა შორის, მიულოცვენ ამდენი ხნის მოღვაწეობას. ფ.

# დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგ).

### რუსეთი.

**კიევი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა 1915 წელს გამართოს სრულიად რუსეთის საქალაქო გამოფენა.

**ვლადივოსტოკი.** ქალაქში წყლის დიდი სიმცირეა. წყალი გემებით იაპონიიდან მოაქვთ.

**ოდესა.** კოკოვცოვი მოვიდა.

### უცხოეთი.

**პარიზი.** ინგლისის მეფე და პუანკარე დღეშით ერთმანეთს ეწვიენ. სიხარული გამოსთქვეს ინგლის-საფრანგეთის მეგობრული კავშირის გაძლიერების გამო.

სენატის კომისიაში გადასახადიდან შემოსავლის შესახებ მსჯელობის დროს კაიომ სთქვა: მთავრობა კანონპროექტის ძირითად აზრს მხარს დაუჭერსო. კომისიამ დაადგინა, არ გადაუხვიოს თავის ძველ გადაწყვეტილებას.

**ბარსელონა.** მოვიდა ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ესკადრა.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციაში გარეშე საქმეთა მინისტრის სახელით წინანდელ ორატორებს პასუხი გასცა გრაფმა ფიკებურგმა. შეეხო ბალკანეთის ომს და სთქვა, რომ დაგვეწყო ბალკანეთის სახელმწიფოებთან სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებლათ მოლაპარაკება, ეს ერთგვარი თავის გამოდება იქნებოდა, რომელიც გამოიწვევდა ან ომს და ან ჩვენს სამარცხვინო უკან დახევას. გარეშე საქმეთა სამინისტროს სამართლიანათ მიაჩნია დიდ სახელმწიფოებთან მოლაპარაკების გამართვა. გარეშე საქმეთა სამინისტრო სიამოვნებით ეგებება დელეგატთა იმ განცხადებას, რომ ბალკანეთის საკითხში ავსტრიას რუსეთიც და საფრანგეთიც უახლოვდება. ეს განცხადება სამინისტროს აზრს ეთანხმება. ანდრიუში აცხადებს: მონარქიის პოლიტიკა არ იყო თანდათანობითი და მტკიცე. ბალკანეთის სახელმწიფოები უმიზეზოთ არ დაესხმოდენ თავს ავსტრიას. რუსეთის ინტერესი მოითხოვდა განეახლებია რუსეთს კავშირი სამ მეფესთან. შემდეგ ილაპარაკა ტისამ.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში სეფე სიტყვას იხილვენ. სოციალისტი კოლდა აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას. მთავრობას ბრალს სდებს, რომ მან არ წარმოადგინა ლივიის დაპყრობის ანგარიში. ორატორი ასეთ კითხვას სვამს: ლივიასთან მშვიდობიან ხელშეკრულობის დადების შემდეგ ერთ წელიწადს რისთვის დაიხარჯა 350 მილიონი, მაშინ როდესაც ომის დროს სამასი მილიონი დაიხარჯა. კოლდა ჯიოლიტის წინააღმდეგ ლაპარაკობს; ის ეხება აგრეთვე არჩევნების დროს ბოროტმოქმედებას.

**ზაგრები.** სეიმის არჩევნებში სერბოხორვატიელთა კოალიციამ 45 მანდატი მიიღო. სოციალდემოკრატები არჩევნებში ვერ გავიდენ.

**ბერლინი.** ბერლინის უნივერსიტეტში სტუდენტთა გაფიცვა შესწყდა.

**ვენა.** იმპერატორმა ფრანც იოსებმა დიდის ამბით მიიღო რუსეთის ახალი ელჩი შებეკო. შებეკომ იმპერატორს რწმუნებითი ქაღალდი გადასცა.

უნგრეთის დელეგაციამ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი მიიღო დელეგაციის პრეზიდენტმა დელეგაციის სახელით ბერხტჰოლდს ნდობა გამოუცხადა. ბიუჯეტის მუხლობრივი განხილვის დროს აპპონიმ განაცხადა: ოპოზიცია კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ, რო მიელო მონაწილეობა, საიდუმლო ფონდის წინააღმდეგ წავიდოდა და ამით უნგრეთის მთავრობას უნდობლობას გამოუცხადებდა. გრაფ ბერხტჰოლდს ოპოზიცია სრული ნდობით მოეკიდება.

**თეირანი**, ქურთისტანში დიდი არეულობაა და ამან მთავრობა დააფრთხო. არეულობის დასაქრობათ ცნობილი გუბერნატორი სარდარმუხი დანიშნა. ხსენებულ გუბერნატორს ქურთისტანში წასვლა ვერ გადაუწყვეტია ჯერ.

# დაბა-სოფელი.

**ჭრებალო (ლეჩხუმი).** „ვაის გავეყარე და უის შევეყარეო" რომ იტყვიან სწორეთ ასე ჩვენ ჭრებალოელებს მოგვივიდა. ერთი ორი წლის წინათ ჩვენი არჩეული კაცების პირით, ჩვენი (სამხედრო ოსეთის) გზის „ინსპექციას" მივმართეთ თხოვნით: ბაზრის სიგძეზე გზა აემაღლებიათ როგორც ჩავარდნილი და ტალახიანი და გატეხილი ქვით მოეკირწყლათ. როგორც იქნა, ჩვენმა თხოვნამ გასჭრა: გზა მიწის დაყრით ასწიეს, ნაპირების თხრილები ქვაფენილით გააკეთეს და ასე გვეგონა, დღეს თუ არა ხვალ მაინც ქვას დაყრიან და ტალახიანი გზის მაგიერათ ნამდვილი „შოსე" გვექნებოდა, მაგრამ, დახე ჩვენს უბედურებას, ზამთარი მოახლოვდა, წვიმებისა გამო დაყრილი მიწა გაიჭრა, ატალახდა, მისვლა-მოსვლა შეუძლებელი გახდა და გზის მთავრობა კი არაფერ ზომას იღებდა. ზამთარში რომ უარესი არ დაგვმართოდა კიდევ თხოვნით მივმართეთ ამავე გზის მთავრობას, რო მიელო რაიმე საშვალება და დაყრილი მიწა ზამთარში „უხრეშოთ" არ დარჩენილიყო. ამ ათი დღის წინათ „ინსპექციაც" გვეწვია და ყოველივე ეს თავისი თვალით ნახა, მაგრამ რა?.. გზა ისევ ძველ მდგომარეობაში დასტოვეს. მართალია, ხრეშის დაყრა კი გადაუწყვეტიათ, მაგრამ ეს შესაძლო მაშინ ყოფილა, როდესაც ტალახი კარგათ ამოშრება და რადგანაც ამოდენა ტალახის ამოშრობა გაზაფხულამდი შეუძლებელია, როგორც ჭრებალოელები, აგრეთვე მგზავრებიც ტალახში უნდა დავიხჩოთ.

საჭიროა, უმაღლესმა მთავრობამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

ადგილობრივი.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


# ქუთაისი
პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.
# მუდმივი საწოლებით
## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დილით.**

| | |
|---|---|
| კ. ა. ამაშენცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12— 2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½ 2 |

**საღამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.



# კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის საწყობშია
შემდეგი გამოცემანი:

1. ყუბანეიშვილი. პირველდაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე ფ. ედით 6 შაური.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2. ქვარიანი. | საქართველოს მოკლე ისტორია | ფ. | „ 2 | აბაზ. |
| 3. ხუნდაძე. | ქართული გრამატიკა | ფ. | „ 3 | „ |
| 4. მისივე. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 | „ |
| 5. ნიკოლაიშვილი. | მოკლე ქართული გრამატიკა | ფ. | „ 1 | „ |
| 6. რობაქიძე. | სამშობლოს აღწერა | ფ. | „ 10 | შაური. |
| 7. „გუთანი" | ქართული სახელმძღვანელო | ფ. | „ 17 | „ |
| 8. გერსამია ლვდ. | ლოცვანი | ფ. | „ 2 | „ |
| 9. დათეშიძე. | ქართული წერის დედანი | ფ. | „ 5 | „ |
| 10. კიტა აბაშიძე. | ეტიუდები XIX საუკ. ქარ. ლიტ. შესახებ | ფ. | „ 14 | „ |

აქვე იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი. პროვინციის წიგნის მაღაზიებს ეძლევათ დიდი სალავათი.

გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია **დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები ძლიერ იაფათ; ამ ჟამათ აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო ბარათი და კალენდარი 1914 წლისა.

**ადრესი:** Кутаисъ. книжный магазинъ т-ва К. И. Оцхели.



# საჭიროა
პატარა ბავშვის მოსავლელათ პატარა გოგო 12—16 წლამდი. პირობების გაგება შეიძლება:
ბალახვანის ქუჩა სახლი მახარაძისა № 22 სახლის პატრონთან.



## საცვლების მკერავი
ქალი
სალომე უულებაშვილისა ღებულობს საკერავებს.
ბალახვანის ქ. სახლი გრიგოლიასი № 64



ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო
## ნ. ასათიანისა და ი. გვერდელიძის.
ქ. ქუთ. ალექსანდრეს ქ. სახ. თევდორაძისა. ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს ½ წელს ტანისამოსის უფასო შეკეთებით.



# ა. ი. კონსტაძის
## ევროპიულ მაღაზიაში
(თფილისის ქუჩა, ქალაქის აფთიაქის გვერდით)
კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი
## დანიშნულია
# დიდი იაფი ვაჭრობა.
—✦ ფასები ძლიერ დაკლებულია. ✦—
კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.
ფასები უვაჭროთ.





ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.



ხრესილი.
# სამკურნალო
# აბანო
მეირფასი მთის აერზე
## ძმ. ყორყოლაძეების
ჩვენი ფიცხალი თვითის ღირსი მოწყობილებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.


# რკინის გზა.

| ქუთაისიდან მიდის | | | | ქუთაისს მოდის | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისს: | სახალხო დილის | 10 საათ. | 6 წ. | თფილისიდან: | სახალ. დილ. | 7 საათ. | — |
| | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. | | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 55 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. | | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 28 წ. |
| ბათომს: | სახალხო დილის | 5 საათ. | 10 წ. | ბათომიდან: | საფ.-სახ. დილ. | 11 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 11 საათ. | 27 წ. | | სახალხო ღამ. | 1 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 21 წ. | ფოთიდან: | საავგარ. დილ. | 10 საათ. | 3 წ. |
| ფოთს: | საავგარაკო დღის | 4 საათ. | 22 წ. | | სახალხო დღით | 1 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 10 წ. | | სახალ. ღამით | 1 საათ. | 26 წ. |
| | ფოშტის დღით | 5 საათ. | 21 წ. | შორაპნიდან: | საავგარ. დილის | 9 საათ. | 31 წ. |
| შორაპანს: | საავგარაკო დღით | 4 საათ. | 57 წ. | ტყიბულიდან: | საღამოს — | 5 საათ. | 11 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 7 საათ. | 50 წ. | | | | |

### ბილეთის ფასი:

| | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. | | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 | ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 | მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 | პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ქიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 | ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.